ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N

2022 წლის

ქ. ახმეტა

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმების“ მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს დასაფინანსებელი ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი პროექტები თანდართული ნუსხის თანახმად.

2. დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს საპროექტო წინადადებების ინიციირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

3. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის **იოსები ქარუმაშვილი**

საკრებულოს თავმჯდომარე

ახმეტის მუნიციპალიტეტი 2023 წლის რეგიონული პროექტები						დანართი №2
№	პროექტები	პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)	მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილითანხა	მ.შ. თანადაფინანსება	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	ქ.ახმეტაში ბ.ჩოლოყაშვილის ქუჩის I მონაკვეთის რეაბილიტაცია	450,000	450,000	0	01.04.2023 01.09.2023	
2	ქ.ახმეტაში ივ.ჯავახიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია	150,000.00	150,000.00	0.00	01.04.2023 01.09.2023	
3	ქ.ახმეტაში ბ.ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე 60 ბინიანი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია	70,000.00	70,000.00	0.00	01.04.2023 01.09.2023	
4	ქ.ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე სტადიონთან მდებარე მრავალბინიანი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია	130,000.00	130,000.00	0.00	01.04.2023 01.09.2023	
5	ქ.ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე ავტოსადგურზე მდებარე მრავალბინიანი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია	180,000.00	180,000.00	0.00	01.04.2023 01.09.2023	
6	ქ.ახმეტაში სანაპიროს ქუჩაზე მდებარე კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია	70,000.00	70,000.00	0.00	01.04.2023 01.09.2023	

7	ქ.ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე ე.წ.,,ალვნის დასახვევში" მდებარე მრავალბინიანი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია	72,000.00	72,000.00	0.00	01.04.2023 01.09.2023	
8	ქ.ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ყოფილი ბიოქიმიური ქარხნის საცხოვრებელი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია	170,000.00	170,000.00	0.00	01.04.2023 01.09.2023	
9	ქ.ახმეტაში თამარის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტაცია	90,000.00	90,000.00	0.00	01.04.2023 01.09.2023	
10	ქ.ახმეტაში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩის რეაბილიტაცია	280,000.00	280,000.00	0.00	01.04.2023 01.09.2023	
11	ქ.ახმეტაში ი.ჭავჭავაძის ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაცია	120,000.00	120,000.00	0.00	01.04.2023 01.09.2023	
12	სოფელ ომალოში(თუშეთი) წყალმომარაგების სათავისა და მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები	800,000.00	800,000.00	0.00	01.06.2023 01.11.2023	
13	ქ.ახმეტაში ალაზნის სარწყავ არხზე დამცავი ზღუდარების მოწყობა	807,658.00	807,658.00	0.00	01.02.2023 01.04.2023	
	სულ:					

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი

ალექსი ფიცხელაური